საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ინგა სეხნიაშვილი

კოლეგიის წევრი: ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი: კონსტანტინე გელაშვილი

საჩივრის ავტორი: ტ. ჩ.

წარმომადგენელი: გ. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 166/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ /#

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ქ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2018 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ტ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ქ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და ადვოკატისთვის მომსახურების საზღაურის სახით გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა გ. ჩ.-მ მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 14 თებერვალს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ქ.-მ მისი საქმე აწარმოა არაკეთილსინდისიერად და დაუმსახურებლად მიითვისა თანხა.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 16 თებერვალს მან იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით, შპს „გ.-ს“ სახელით რწმუნებულება გაუფორმა ადვოკატ მ. ქ.-ს. შპს „გ.-მ“ რწმუნებულება გაუგრძელა ადვოკატს 2017 წლის 13 მარტს. ადვოკატ მ. ქ.-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაენხორციელებინა გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ქ.-მ საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის წინასწარ მოითხოვა თანხის გადახდა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა შპს „გ.-ს“ სახელით ადვოკატის პირად ანგარიშზე 2015 წლის 13 თებერვალს ჩარიცხა 300 ლარი და სასამართლოს ბიუჯეტში - 100 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს ასევე გადასცა 200 (ორასი) ლარი სესხის სახით და დამატებით, გადასცა 200 ლარი ნაღდი ფული.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიერ ადვოკატისთვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 1200 ლარი. მიუხედავად ამისა, ორჯერაც არ ჩატარებულა სასამართლო პროცესი, ხოლო ადვოკატი ინტერესს არ გამოხატავდა მომჩივანის უფლებებებთან დაკავშირებით.

1.6. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თავისი ინიციატივით არ უკავშირდებოდა კლიენტს საქმესთან დაკავშირებით. ხოლო, საჩივრის ავტორის მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრისას სისტემატიურად პასუხობდა, რომ იმყოფებოდა ბათუმში.

2. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა გ. ჩ.-მ განმარტა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს უნდა დაუბრუნოს მომსახურების საზღაურის სახით მიღებული თანხა 800 ლარის ოდენობით, ვინაიდან ადვოკატის მომსახურების მიმართ არსებული პრეტენზიების გარდა, მის საქმეზე არ დადგა სასურველი შედეგი, ხოლო მან ადვოკატი ამ შედეგისთვის დაიქირავა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1. ადვოკატმა მ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობით ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ ტ. ჩ.-ის საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2019 წლის 28 თებერვალს, ადვოკატმა მ. ქ.-მ მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

3.2. ადვოკატის განმარტებით ტ. ჩ.-ს მხოლოდ ერთხელ შეხვდა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, ხოლო საქმესთან დაკავშირებით ურთიერთობა ჰქონდა მის მეუღლესთან - გ. ჩ.-სთან, რომელიც ასევ იყო შპს „გ.-ს“ წარმომადგენელი.

3.3. ადვოკატმა მ. ქ.-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს ტ. ჩ.-ის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების არასრულფასოვან და კანონის დარღვევით ნაწარმოებ სააღსრულებლო საქმის განახლების მოთხოვნით, რაზედაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წერილობით უარი განაცხადა, რის შემდეგაც მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით.

3.4. ადვოკატის განმარტებით, ტ. ჩ.-ის მეუღლე - გ. ჩ., ამტკიცებდა, რომ 4000 ლარი, რომელიც სასამართლომ დააკისრა მოწინააღმდეგე მხარეს შპს „ა.-ს“, უნდა გადაეხადა ამ უკანასკნელს და იგი ჯერ კიდევ ფიქსირდებოდა სამეწარმეო რეესტრში და ფაქტობრივადაც არსებობდა შპს „გ.-ს“ გვერდით.

3.5. ადვოკატის განმარტებით, 2015-2016 წლების განმავლობაში არაერთი სასამართლო სხდომა გაიმართა, საბოლოოდ კი, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

3.6. მ. ქ.-ის განცხადებით, 2016 წლის 22 აგვისტოს დააპატიმრეს, რის შემდეგაც ტ. ჩ.-ის რწმუნებულების საფუძველზე საქმეს აწარმოებდა ადვოკატი ა. ბ.. 2017 წლის 21 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატი გაათავისუფლა პატიმრობიდან და შემდგომში გამამართლებელი გადაწყვეტილებაც გამოიტანა.

3.7. ადვოკატის განმარტებით, ტ. ჩ.-ის მეუღლის თხოვნით ისევ გააგრძელა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რისთვისაც საჩივრის ავტორმა გადასცა თანხა 200 ლარის ოდენობით. ხოლო, თავდაპირველად, ტ. ჩ.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი ჰქონდა 300 ლარი.

3.8. ადვოკატის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება იმის გამო, რომ მესამე პირმა წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულება, რომლის მიხედვით შპს „ა.“ აღარ არსებობდა, რის საფუძველზეც სასამართლომ წარმოება შეწყვიტა. ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შემდეგ მას აღარ ჰქონდა საშუალება სხვა სამართლებრივი მოქმედებები განეხორციელებინა, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება კანონით დადგენილი წესით არ საჩივრდება, რის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა საჩივრის ავტორს. ამის შემდეგ, ტ. ჩ.-ის მეუღლემ მას მოსთხოვა ბაჟისა და საადვოკატო მომსახურების თანხების დაბრუნებას, რაზეც ადვოკატისგან უარი მიიღო, რაც გახდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვის საფუძველი.

3.9. ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ მართალია საჩივრის ავტორი 1 200 ლარის დაბრუნებას ითხოვს, თუმცა მომჩივანი ვერ წარმოადგენს მტკიცებულებებს, რადგან ამ ოდენობის კანონით დადგენილი დანახარჯი ამ საქმის წარმოების განმავლობაში არ გაუწევია. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ გადახდილი თანხები დაიხარჯა ადმინისტრაციულ ორგანოებში წერილობითი მტკიცებულების შეგროვებისათვის. საჩივრის ავტორი კი სწორედ იმ თანხებს ითხოვს, რომელიც მტკიცებულებების მოძიებაში დაიხარჯა. ასევე საჩივრის ავტორი ითხოვს თანხას, რაც მეორე ადვოკატს - ა. ბ.-ს გადაუხადა. თუმცა, როგორც ადვოკატისთვის ცნობილია მომჩივანმა მეორე ადვოკატს ა. ბ.-ს უკან დააბრუნებინა გადახდილი საზღაური.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1. ადვოკატი მ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

4.2. შპს „გ.-ს“ დირექტორმა, ტ. ჩ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 29 ნოემბერს.

4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა, მ. ქ.-მ არაკვალიფიციურად გაუწია იურიდიული მომსახურება შპს „გ.-ს“ დირექტორს ტ. ჩ.-ს და არ შეასრულა იმ ხარისხის მომსახურება, რაზეც მხარეები ურთიერთობის დასაწყისში შეთანხმდნენ. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ *ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევაზე:*

> *„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“*

6.2. ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რის შემდეგ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად. ამ მიზნით ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად განახორციელოს ყველა სამართლებრივი მოქმედება, რაც დაკავშირებულია კლიენტის მიერ მინდობილ საქმესთან.

6.3. საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიებს ადვოკატი უსაფუძვლოს და დაუსაბუთებელს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ტ. ჩ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით ყველა სამართლებრივი მოქმედება შეასრულა, მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მათგან უარის მიღების შემდეგ კი სასამართლოს. ადვოკატმა ასევე კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ადვოკატს აღარ ჰქონდა საშუალება რაიმე სამართლებრივი მოქმედება განეხორციელებინა.

6.4. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე კოლეგია სადაო ფაქტებს განიხილავს საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს.

6.5. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიამ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძლიანი ვარაუდის სტანდარტით. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი რწმუნებულების მიხედვით, 2015 წლის 16 თებერვალს ტ. ჩ.-მ, როგორც შპს „გ.-ს“ დირექტორმა უფლებამოსილება მიანიჭა ადვოკატ მ. ქ.-ს დაეცვა შპს „გ.-ს“ ქონებრივი და არაქონებრივ ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში (ს.ფ. 6-7). ტ. ჩ.-მ შპს „გ.-ს“ სახელით

უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კვლავ გაუფორმა მინდობილობა ადვოკატ მ. ქ.-ს 2017 წლის 13 მარტს (ს.ფ. 8-9).

6.6. მხარეთა ახსნა-განმარტებით ადვოკატმა მ. ქ.-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქმეში წარმოდგენილი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რაზედაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უარი უთხრა. საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციულ საქმეზე წარდგენილი სარჩელიდან დგინდება, რომ შპს „გ.-მ“, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენდა ადვოკატი მ. ქ. 2015 წლის 18 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, საქმე №3/XXXX-15 (ს.ფ. 36). დავის საგანს წარმოადგენდა აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 იანვრის #77 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ მ. ქ.-ის მიერ 2015 წლის 5 მაისს შედგენილი განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლე ნ. ჭ.-ის მიმართ, სადაც ადვოკატმა მ. ქ.-მ განმარტა სასარჩელო მოთხოვნა (ს.ფ. 41), ხოლო საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 01 განჩინების მიხედვით ირკვევა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა, მ. ქ.-მ 2015 წლის 26 ივნისს გამართულ სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 იანვარს #77 ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც დაკმაყოფილდებოდა ადმინისტრაციული საჩივარი აღსრულების განახლების შესახებ (ს.ფ. 60).

6.7. საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმებითა და სასამართლო სხდომაზე გამოძახებისა და გამოუცხადებლობის შესახებ ხელწერილებით დასტურდება ადვოკატის მონაწილეობა 2015 წლის 24 აპრილს (ს.ფ. 40), 2015 წლის 26 ივნისს (ს.ფ. 43), 2015 წლის 18 სექტებერს (ს.ფ. 44), 2016 წლის 06 იანვარს (ს.ფ. 46), 2016 წლის 17 თებერვალს (ს.ფ. 48), 2017 წლის 06 სექტემბერს (ს.ფ. 56) და 2017 წლის 20 სექტემბერს (ს.ფ. 57) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომებში.

6.8. ასევე, წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 01 ნოემბრის განჩინება, რომლის მიხედვით შპს „გ.-ს“ საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის მოტივით, რაზედაც ადვოკატმა მ. ქ.-მ კერძო საჩივარი წარადგინა (ს.ფ. 61-62). თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებიდან ირკვევა, რომ შპს „გ.-ს“ კერძო საჩივარი სასამართლომ განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (ს.ფ. 65).

6.9. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ ადვოკატმა მ. ქ.-მ ტ. ჩ.-ის დაცვის მიზნით განახორციელა რიგი მოქმედებები: მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქმეს აწარმოებდა თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში, ადვოკატი მონაწილეობდა სასამართლო განხილვებში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი, არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას.

შესაბამისად საპროცესო კოლეგია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დარწმუნდა, რომ ადვოკატმა დაარღვია საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად გაწევის ვალდებულება.

6.10. საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით მ. ქ. პერიოდულად არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და არ იჩენდა ინიციატივას კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის მიზნით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ *ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლის შესაძლო დარღვევაზე:,*

> *,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა ... შესახებ.“*

6.11. კლიენტი სასურველი შედეგის მისაღებად დამოკიდებულია ადვოკატის მოქმედებებზე. შესაბამისად ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს საქმის მიმდინარეობის შესახებ, რათა მისთვის ნათელი იყოს საქმის მსვლელობა, რაც მას გარკვეულ მოლოდინს ჩამოუყალიებებს საბოლოო შედეგის მიმართ.

6.12. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ“ (პარაგრაფი 7.10, საქმეზე №057/10 07.03.2011).

6.13. კლიენტის ინფორმირებულობასთან დაკავშირებით თავად საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ მას ჰქონდა კომუნიკაცია ადვოკატთან (პარ.1.6). ადვოკატი ადასტურებს, რომ მას ძირითადად კომუნიკაცია ჰქონდა არა საჩივრის ავტორთან, არამედ კლიენტის უფლებამოსილ პირთან, რომელიც არის საჩივრის ავტორის მეუღლე (პარ. 2.2). შედეგად, კომისიას არ ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია გართულებული იყო და კლიენტს არ ჰქონდა ინფორმაცია საქმის მსვლელობის თაობაზე.

6.14. პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ტ. ჩ.-მ ადვოკატ მ. ქ.-ს გადაუხადა 1 200 ლარის ოდენობით მომსახურების საზღაური, საიდანაც საჩივრის ავტორი ითხოვს 800 ლარის დაბრუნებას, ვინაიდან ადვოკატს არ გაუწევია მიღებული თანხის შესაბამისი მომსახურება, ეთიკის კომისიამ იმსჯელა მ. ქ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

> *„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.*

6.15. ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ კლიენტისგან მიიღოს ჰონორარი, რაც პროპორციულად უნდა იქნეს განსაზღვრული საადვოკატო მომსახურების მოცულობასთან. ჰონორარის ოდენობა წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კლიენტისთვის, ვინაიდან მას უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია ადვოკატის მიერ გაწეული თითოეული მომსახურება რა ოდენობის თანხასთან იქნება დაკავშირებული.

6.16. „იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხრჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილება).

6.17. ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ მართალია საჩივრის ავტორი 1 200 ლარის დაბრუნებას ითხოვს, თუმცა მომჩივანი ვერ წარმოადგენს მტკიცებულებებს, რადგან ამ ოდენობის კანონით დადგენილი დანახარჯი მას ამ საქმის წარმოების განმავლობაში არ გაუწევია. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორისგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიიღო 300 ლარი, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ 200 ლარი და აღნიშნული თანხები არქივებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში დაიხარჯა წერილობითი მტკიცებულების შეგროვებისათვის.

6.18. როგორც 5.9, 5.10 და 5.11 პარაგრაფებში იქნა განხილული, ადვოკატმა მ. ქ.-მ საადვოკატო მომსახურება განახორციელა აღსრულების ეროვნულ ბიუროში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 13 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. ქ.-ის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 01 ნოემბრის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ადვოკატ მ. ქ.-მ შეთანხმებული და კანონით გათვალისწინებული სრული სამართლებრივი მოქმედებები განახორციელა შპს „გ.-ს“ ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა სრულად შეასრულა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მას არ წარმოეშობა კლიენტისთვის თანხის პროპორციული დაბრუნების ვალდებულება. ამ პირობებში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა თანხაზე შეთანხმდნენ კლიენტი და ადვოკატი.

6.19. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ვერ დგინდება ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ეთიკის კომისიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დაადგინა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლის, 6.2 მუხლის, აპეკ-ის 8.6 მუხლის და 8.15 მუხლის დარღვევის ფაქტი, რის გამოც ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №166/18 ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ, /სიითი №, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიისწევრი: /ირაკლი კორძახია/